ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 65

"29" მარტი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 21 თებერვლის №19.190.237 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №21-23-ის მიმდებარედ არსებული 1707 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.016.020) 95 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ველლ ჰაუზისთვის" (ს/ნ: 405156799) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 22 800 (ოცდაორი ათას რვაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე